ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 83

15 მაისი 2020 წ. ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:30 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა,ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე,რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე,ირაკლი ნადირაძე, ვახტანგ შაქარიშვილი, გოჩა თევდორაძე.
სხდომას ასევე ესწრებოდა:
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ირაკლი თავართქილაძე, თამარ მელიქიშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი (#11-01201321511;#11-0120126974;#11-012001351658) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (№15-032013248-03;#15-032012694-03;#15-032013640-03)

2. ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ 2020 წელს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე“

4. “ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ”ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

5. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

6. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე

7. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე

8. ქალაქ თბილისში, კოლმეურნეობის მოედანი „პირიმზეს" მიმდებარედ არსებული 242 კვმ მიწის ნაკვეთიდან 36 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.18.03.010.009) გვანცა ქურხულისთვის (პ/ნ:01011076630) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

9. ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.11.12.014.109) შპს „ორიგინალი +"-ისთვის (ს/ნ: 400081095) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

10. ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 55735 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი:01.17.01.065.065) 47 კვმ მიწის ნაკვეთის შპს „ატრაქციონისთვის" (ს/კ 405354753) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

11. "ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, II მიკრო/რაიონში, სერვის ცენტრის მიმდებარედ (ნაკვეთი 12/042) (საკადასტრო კოდი: N01.11.12.012.042.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

12. "ქალაქ თბილისში, იპოლიტ-ივანოვის ქუჩა N43-ში (ნაკვეთი33/073) (საკადასტრო კოდი: N01.11.05.033.073.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

13. "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი, N2-8-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.05.033.005.01.558) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

14. "ქალაქ თბილისში, ფერდობი შალვა ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 55-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060.01.021ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

15. ქალაქ თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი #7ა-ში (საკ/კოდი #01.17.10.002.060.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მომრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე
17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ქუჩა კრწანისი, N72-ში მდებარე 1275 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.06.015.057) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

18. ქ. თბილისში, ერწოს ქ. N15-ის მიმდებარედ არსებული 2,500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.12.08.010.053) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე
19. ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8613 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.004.058) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვისა და შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ"

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 078 კვ.მ. უძრავი ქონების (მდებარე - ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/რაიონში, I კვარტალში, კორპუსი N8-ის მიმდებარედ, ნაკვ.

007/268 , საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.268) ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი N601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601"-ისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის N382 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი N601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601"-სა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" 2016 წლის 2 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე თანხმობის გაცემის შესახებ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრების მიერ დღის წესრიგი დამტკიცდა

მოისმინეს: .საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი (#11-01201321511;#11-0120126974;#11-012001351658) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (№15-032013248-03;#15-032012694-03;#15-032013640-03)

საკითხი წარმოადგინა გაიოზ თალაკვაძემ.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ნაძალადევის რაიონს „გზების მოვლა-შეკეთების" პროგრამაში დაგეგმილი პროექტის ფარგლებში, წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად ესაჭიროება მიმდინარე ტრანსფერის მუხლში 38 240 ლარის დამატება, არაფინანსური აქტივების მუხლიდან.

ისნის რაიონის გამგეობას „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების" პროგრამაში, შესრულებული სამუშაოების დასაფინანასებლად მესამე კვარტლიდან მეორე კვარტალში გადმოაქვს 260 000 ლარი.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე („კოვიდ ინფექცია"), ა(ა)იპ ხელოვნების სკოლებისა და ა(ა)იპ თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის ყველა თანამშრომელი დარჩა ანაზღაურების გარეშე, ვინაიდან შეწყდა სწავლის პროცესი. აქედან გამომდინარე კუთვნილი ანაზღაურების გასაცემად კულტურის,განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ითხოვს „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის" პროგრამაში- „საქონელი და მომსახურების" მუხლიდან 29 300 ლარის გადატანას „სუბსიდიის" მუხლში.

ასევე, კოვიდ ინფექციის გამო ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომელთა ხელფასებისათვის, კომუნალური ხარჯების, საწვავის და სხვა საოპერაციო ხარჯების უზრუნველსაყოფად, „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების" პროგრამიდან (01 02 01), 2 500 000 ლარის გადატანა ხდება „სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდიის" პროგრამაში (01 02 05).

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე- 9 გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის,ისნისა და გლდანის რაიონის გემგეობები, ასევე თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ითხოვს ცვლილებას მათთვის მიკუთვნებულ

პროგრამა/ქვეპროგრამებში , ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

მოისმინეს: ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ.

თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 216,458.5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 165,379.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 76.4%.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 106,825.8 ათასი ლარი. წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 106,356.3 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 469.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც გამოწვეულია 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით. 2019 წლიდან საშემოსავლო გადასახადი და გათანაბრებითი ტრანსფერი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში აღარ ირიცხება და მათ ნაცვლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში ნაწილდება დამატებული ღირებულების გადასახადი, ფაქტიურად მიღებულია 107,981.4 ათასი ლარი (2019 წლის 3 თვის ფაქტი - 103,806.9 ათასი ლარი).

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში ჩამოწერილია (-1,155.7) ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) ჩამოწერილია (-2,105.9) ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 283.6 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 666.7 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 2,549.4 ათასი ლარი) შედარებით 3,705.1 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2019 წელს მიღებულია 1,450.1 ათასი ლარი). აღსანიშნავია, რომ საწარმოთა ქონების გადასახადის (გარდა მიწისა) სახით მიმდინარე წლის აპრილში ბიუჯეტში ჩაირიცხა 11,687.1 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 9,370.7 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 51,581.8 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 41,996.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 81.4%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 48,561.0 ათასი ლარი) შედარებით 6,564.7 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 6,077.9 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1,676.1 ათასი ლარი) შედარებით 4,401.8 ათასი ლარით მეტია.

დივიდენდებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 67.7 ათასი ლარი. (მათ შორის: შპს „წყნეთის საექიმო ამბულატორია - 3.0 ათასი ლარი, ჰერმესი – 60.2 ათასი ლარი და შპს ქ.თბილისის N19 მოზრდილთა პოლიკლინიკის მიერ - 4.5 ათასი ლარი).

რენტის სახით მობილიზებულია 1,229.4 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 396.5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 832.9 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 19,593.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (33,425.7 ათასი ლარი) 58.6%-ია. მათ შორის:

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 2,636.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (17,500.0 ათასი ლარი) 15.1%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (18,190.2 ათასი ლარი) შედარებით 15,554.2 ათასი ლარით ნაკლებია.
დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 11,797.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 12,000.0 ათასი ლარის 98.3%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (11,877.0 ათასი ლარი) შედარებით 79.6 ათასი ლარით მეტია.
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 3.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (5.0 ათასი ლარი) 76.1%-ია.

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 1,072.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,500.0 ათასი ლარი) 71.5%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2,472.5 ათასი ლარი) შედარებით 1,400.0 ათასი ლარით ნაკლებია.

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 4,042.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,300.0 ათასი ლარი) 175.7%-ია. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 3,815.6 ათასი ლარი, მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 226.6 ათასი ლარი. სანებართვო მოსაკრებლის აკუმულირების მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2,956.1 ათასი ლარი) მიმართებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც გამოწვეულია მშენებლობის ნებართვის განაკვეთის ზრდით (2019 წელი - 2,773.1 ათასი ლარი).

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 316.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (488.0 ათასი ლარი) 64.9%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 314.0 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 2.9 ათასი ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 12,758.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (13,000.0 ათასი ლარი) 98.1%-ია.

არაფინანსური აქტივებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 7,167.2 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: 1,710.8 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 5,456.4 ათასი ლარი.
ფინანსური აქტივების კლებიდან_საანგარიშო პერიოდში მობილიზებული 20.0 ათასი ლარი ასახულია ვალუტა და დეპოზიტების სახით (მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სესხის უზრუნველყოფის მიზნით წინა წლებში დეპოზიტზე განთავსებული თანხის დაბრუნება).
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 29,743.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (44,602.1 ათასი ლარი) 66.7%-ია;
ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 31,059.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (36,273.2 ათასი ლარი) 85.6%-ია;
ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 13,809.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (26,567.9 ათასი ლარი) 52%-ია;
ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 549.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (1,372.5 ათასი ლარი) 40%-ია;
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 3,775.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (3,835.9 ათასი ლარი) 98.4%-ია;
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 35,992.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (45,118.9 ათასი ლარი) 79.8%-ია;
განათლება - 37,641.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (46,424.7 ათასი ლარი) 81.1%-ია;
კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 4,048.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (10,659.6 ათასი ლარი) 38%-ია;
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 894.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (1,832.7 ათასი ლარი) 48.8%-ია;

ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 22,699.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (29,225.9 ათასი ლარი) 77.7%-ია.
საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში

კომისიის წევრების შეკითხვებზე გაიოზ თალაკვაძემ დეტალურად განმარტა.

კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ.
მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ 2020 წელს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე“

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად აღიარებული ახალი კორონა ვირუსის -„COVID 19“-ის გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით და იმისათვის, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირება და სიტუაციის მართვა, 2020 წლის 21 მარტს გამოცემულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი №1 „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ დეკრეტის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული რიგი უფლებები.

დეკრეტის საფუძველზე, გამოცემულ იქნა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილება „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” (შემდგომში - „დადგენილება”), რომლის თანახმადაც შეიზღუდა რიგი საქმიანობები.

2020 წლის 24 აპრილს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წოლობრივი მონაწილეობით დაფუძნებულმა იურიდიულმა პირმა შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ წერილით მომართა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, სადაც აღნიშნულია, რომ „საქართველოში ახალი კორონა ვირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების საფუძველზე შეიზღუდა გარკვეული საქმიანობები, რომლის საფუძველზეც დედაქალაქში მოქმედმა რიგმა ობიექტმა (დაწესებულებები, ორგანიზაციები იურიდიულ პირები და ინდივიდუალურ მეწარმეები) ფუნქციონირება სრულად შეწყვიტეს.

„თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის“ მე-4 მუხლის თანახმად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლი არ დაერიცხებათ იმ პირებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ ფუნქციონირებენ (შეწყვეტილი აქვთ საქმიანობა ან სხვ.) და შესაბამისად არ წარმოქმნიან ნარჩენებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ეს პირები გათავისუფლდნენ მოსაკრებლის გადახდისაგან საგანგებო მდგომარეობის პერიოდში.

თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა შესაძლებელია შეუწყდეს დაახლოებით 14 000-ზე მეტ კატეგორიას (9300-ზე მეტი აბონენტი), რომელთა ყოველთვიური სავარაუდო დარიცხვა შეადგენს 861565-მდე ლარს.

მომხრე- 9 . გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ქონების საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა თამარ მელიქიშვილმა

მოისმინეს: "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" 2020 წლის 23 აპრილს განხორციელდა ცვლილება . კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს დაემატა 163[3] მუხლი: „2020 წელს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, მთავრობა უფლებამოსილია საგანგებო მდგომარეობის დროს ან მისი გაუქმების შემდეგ, არაუგვიანეს 2021 წლის 1 იანვრისა, მიმართოს თბილისის საკრებულოს აუქციონის ფორმით პრივატიზებული თბილისის ქონების შემძენისთვის, სარგებლობის უფლებით გადაცემული ან მართვის უფლებით გადაცემული თბილისის ქონების მიმღებისთვის ამ ქონებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პირობის შეცვლის ან გაუქმების ან/და ფინანსური პირობის შეცვლის შესახებ."

საკრებულოს მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი თანხვედრაში უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან, რაც, ასევე, გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთან მის შესაბამისობაში მოყვანას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, ამ დადგენილების ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ზემოაღნიშნულ ცვლილებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

მომხრე- 9 . გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

წამოდგენილი საკითხი წინა საკითხის ანალოგიურია.

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, ამ დადგენილების ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ზემოაღნიშნულ ცვლილებასთან მისი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

მომხრე- 9 . გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე.

პანდემიად აღიარებული კორონა ვირუსის -„COVID 19"-ის გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევების გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე, გამოცემულ იქნა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილება „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ", რომელზეც თანდართული „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების" მე-7 მუხლის თანახმად, შეიზღუდა ეკონომიკური საქმიანობები, გარდა დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობებისა. კორონა ვირუსთან დაკავშირებით ერთ-ერთი პრევენციული ღონისძიება გულისხმობდა დახურულ სივრცეებში მოქალაქეთა ინტენსიური კონცენტრაციისგან თავის არიდებას, მათ შორის, თბილისში არსებული კაფე-ბარების ფუნქციონირების შეჩერების გზით. საბჭოს რეკომენდაციები და დადგენილებით გათვალისწინებული შეზღუდვები აისახა და გავრცელდა თბილისში არსებულ ღია კაფეს ტიპის დაწესებულებებზეც. კერძოდ, მათ საგანგებო მდგომარეობის ვადით აეკრძალათ ფუნქციონირება, რაც დაკავშირებულია შესაბამისი მოიჯარეების ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესებასთან.

იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის მთავრობის მიზანს წარმოადგენს დედაქალაქში სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, ასევე, იმისათვის, რათა კიდევ უფრო არ გაუარესდეს ზემოაღნიშნული პირების ფინანსური მდგომარეობა, მიზანშეწონილია თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სასყიდლით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეების (შემდგომში - „მოიჯარე") მიმართ განხორციელდეს გარკვეული ხელშემწყობი ღონისძიებები. 2020 წლის მარტის თვის მდგომარეობით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტსა და მოიჯარეებს შორის გაფორმებულია ჯამში დაახლოებით 153 მოქმედი ხელშეკრულება. მოიჯარეებს წარმოადგენენ სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირები.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოიჯარეებისთვის 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე საიჯარო ქირის შემცირებასა და 0 (ნული) ლარით განსაზღვრას. აღსანიშნავია, რომ მოქმედი ხელშეკრულებების თანახმად, ზემოაღნიშნულ პერიოდზე გადასახდელი საიჯარო ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 603,000.00 ლარს.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, მოიჯარეებს, რომელთაც 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე ფაქტობრივად გადახდილი აქვთ საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი ჩაეთვლებათ მომავალი გადაუხდელი პერიოდის საიჯარო ქირის ანგარიშში, გადახდილი პერიოდის პროპორციულად. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მარტის მდგომარეობით, 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე გადახდილი საიჯარო ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 18,000.00 ლარს.

მოიჯარეებს, რომელთაც გადახდილი აქვთ 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2020 წელს, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიჯარო ქირა შეეცვლებათ და განესაზღვრებათ 0 (ნული) ლარის ოდენობით.

პროექტის თანახმად, გადახდილი საიჯარო ქირა არ ექვემდებარება დაბრუნებას, რაც, მათ შორის, მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, თუ გადახდილი საიჯარო ქირის ჩათვლა იქნება შეუძლებელი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ან საიჯარო ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების შეკითხვებე თამარ მელიქიშვილმა დამატებით განმარტა, რომ 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე საიჯარო ქირის ოდენობის შემცირების შედეგად, აღნიშნულ პერიოდზე საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებით, მოიჯარეებს არ

დაერიცხებათ პირგასამტეხლო. გარდა ამისა მოიჯარეს, რომელსაც შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაეკისრა/დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე გათავისუფლდება დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან რაც, ასევე, მოიცავს 2020 წლის 1 მარტამდე არსებული ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს შემთხვევებს.

პროექტით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები აისახება იმ ქვემოიჯარეებზეც, რომელთაც უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვთ ამ პროექტით გათვალისწინებული მოიჯარისაგან, პროპორციულობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შესაბამის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ამასთან, წარმოდგენილი განკარგულების თანახმად, განკარგულებით განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაში არსებული , პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ.

ოთარ გრიგოლიას შეკითხვაზე თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ განკარგულების პროექტის მიღების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ მიიღებს 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის პერიოდისთვის განსაზღვრულ საიჯარო ქირას ჯამში დაახლოებით 603,000.00 ლარის ოდენობით .

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.
მომხრე- 9 . გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოსარგებლეებისთვის 2020 წლის 1 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდზე სარგებლობის ქირის შეცვლას და 0 (ნული) ლარით განსაზღვრას. მოქმედი ხელშეკრულებების თანახმად, ზემოაღნიშნულ პერიოდზე გადასახდელი სარგებლობის ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 859,000.00 ლარს. პროექტის თანახმად, მოსარგებლეებს, რომელთაც 2020 წლის 1 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდზე ფაქტობრივად გადახდილი აქვთ სარგებლობის ქირა/ქირის ნაწილი, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი ჩაეთვლებათ მომავალი გადაუხდელი პერიოდის სარგებლობის ქირის ანგარიშში, გადახდილი პერიოდის პროპორციულად. 2020 წლის მარტის მდგომარეობით, 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე გადახდილი სარგებლობის ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 36,000.00 ლარს. მოსარგებლეებს, რომელთაც გადახდილი აქვთ 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე სარგებლობის ქირა/ქირის ნაწილი და სარგებლობის ხელშეკრულების ვადა იწურება 2020 წლის 1 ივნისამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარგებლობის ქირა შეეცვლებათ და განესაზღვრებათ 0 (ნული) ლარის ოდენობით.

გადახდილი სარგებლობის ქირა არ ექვემდებარება დაბრუნებას, რაც, მათ შორის, მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, თუ გადახდილი სარგებლობის ქირის ჩათვლა იქნება შეუძლებელი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ან სახელშეკრულებო ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო. გარდა აღნიშნულისა, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, რომ მოსარგებლეს, რომელსაც შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაეკისრა/დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, 2020 წლის 1 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდზე გათავისუფლდეს დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან (რაც, ასევე, მოიცავს 2020 წლის 1 მარტამდე არსებული ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს შემთხვევებს). ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი

საწარმოების, რაც მოიცავს, მათ შორის, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ , შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ და სს „ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის“ საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების (გარდა ღია კაფეს განთავსების მიზნით გადაცემული ქონების) მიმღებთა მიმართ.

განკარგულების პროექტის მიღების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ მიიღებს 2020 წლის 1 მარტიდან 31 მაისის პერიოდისთვის განსაზღვრულ სარგებლობის ქირას ჯამში დაახლოებით 859,000.00 ლარის ოდენობით . თბილსერვისი ვერ მიიღებს დაახლოებით 210,000.00 ლარს, სატრანსპორტო კომპანია - დაახლოებით 684,000.00 ლარს, ხოლო ეროვნული სტადიონი - დაახლოებით 28,900.00 ლარს .

მომხრე- 9 . გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კოლმეურნეობის მოედანი „პირიმზეს“ მიმდებარედ არსებული 242 კვმ მიწის ნაკვეთიდან 36 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.18.03.010.009) გვანცა ქურხულისთვის (პ/ნ:01011076630) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი-თამარ მელიქიშვილი

გვანცა ქურხულს (პ/ნ: 01011076630) „ქალაქ თბილისში, კოლმეურნეობის მოედანზე „პირიმზის“ მიმდებარედ არსებული 242 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.010.009) იჯარით გადაეცემა, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით , მოთხოვნილ ტერიტორიაზე ჩასასვლელი კიბის განთავსების მიზნით. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა N9-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: 01.18.03.010.001.01.500). წლიური საიჯარო ქირის საფასურია 4, 320 ლარი.

მომხრე- 9 . გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.11.12.014.109) შპს „ორიგინალი +“-ისთვის (ს/ნ: 400081095) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

შპს „ორიგინალი +“-ს (ს/ნ: 400081095) იჯარით გადაეცემა, თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად, 3 წლის ვადით. აღნიშნული კომპანია საკუთრების უფლებით ფლობს თბილისში, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებულ უძრავ ქონებას (ს/კ: 01.11.12.014.051). წლიური საიჯარო ქირის საფასურია - 5400 ლარი.

მომხრე- 9 . გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 55735 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი:01.17.01.065.065) 47 კვმ მიწის ნაკვეთის შპს „ატრაქციონისთვის“ (ს/კ 405354753) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

რიყის ტერიტორიაზე არსებული 55735 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი:01.17.01.065.065) 47 კვმ მიწის ნაკვეთი იჯარის ფორმით,სარგებლობის უფლებით გადაეცემა შპს „ატრაქციონს“, 2029 წლის 23

ოქტომბრამდე ვადით საჰაერო ბურთის სამაგრების, დასაჯდომი ცენტრისა და სამანქანე სივრცის განთავსების მიზნით. წლიური საიჯარო ქირაა 8500 ლარი.

მომხრე- 9 . გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, II მიკრო/რაიონში, სერვის ცენტრის მიმდებარედ (ნაკვეთი 12/042) (საკადასტრო კოდი: N01.11.12.012.042.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მოქალაქე მთვარისა ჩალიგავას (პ/ნ 42001011349) სიმბოლურ ფასად გადაეცემა გლდანის მასივში, II მიკრო/რაიონში, სერვის ცენტრის მიმდებარედ (ნაკვეთი 12/042) (საკადასტრო კოდი: N01.11.12.012.042.01.500) მდებარე 53,38 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობს აღნიშნული ფართით. წარმოდგენილია შესაბამისი გამგეობისა და შსს გასაუბრების ოქმები, ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით .

მომხრე- 9 . გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, იპოლიტ-ივანოვის ქუჩა N43-ში (ნაკვეთი33/073) (საკადასტრო კოდი: N01.11.05.033.073.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მოქალაქე მამუკა სანიკიძეს (პ/ნ 01004009016) სიმბოლურ ფასად გადაეცემა იპოლიტ-ივანოვის ქუჩა N43-ში (ნაკვეთი33/073) (საკადასტრო კოდი: N01.11.05.033.073.01.023) მდებარე 45,63 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობს აღნიშნული ფართით. წარმოდგენილია შესაბამისი გამგეობისა და შსს გასაუბრების ოქმები, ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით

მომხრე- 9 . გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოიმსინეს: "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი, N2-8-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.05.033.005.01.558) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ინეზა თევზაძეს (პ/ნ 01009005710) სიმბოლურ ფასად გადაეცემა დავით აღმაშენებლის გამზირი, N2-8-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.05.033.005.01.558) მდებარე უძრავი ქონება 70,20 საცხოვრებელი ფართი. წარმოდგენილია გამგეობის შუამდგომლობა და შსს გასაუბრების ოქმი.

მომხრე- 9 . გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ფერდობი შალვა ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 55-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060.01.021ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მოქალაქე ნატო კალანდარიშვილს (პ/ნ 0102704038) სიმბოლურ ფასად გადაეცემა ფერდობი შალვა ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 55-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060.01.021ა) მდებარე 20,86 კვმ საცხოვრებელი.ფართი.მოქალაქე დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობს აღნიშნული ფართით.

მომხრე- 9 . გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი #7ა-ში (საკ/კოდი #01.17.10.002.060.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მზია ვარაზაშვილს(პ/ნ 0103307782) სიმბოლურ ფასად გადაეცემა ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი #7ა-ში (საკ/კოდი #01.17.10.002.060.01.505) მდებარე 103,78 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე 15 წელია სარგებლობს აღნიშნული ფართით.

მომხრე- 9 . გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით გადაეცემა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დანართით გათვალისწიბული მოძრავი ქონება სიმბოლურ ფასად.

მომხრე- 9 . გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ქუჩა კრწანისი, N72-ში მდებარე 1275 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.06.015.057) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მოქალაქე გიორგი ქუფრაშვილმა(პ/ნ 65002008452) მომართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა მის საკუთრებაში არსებული 1538 კვმ (საკ/კოდი: 01.11.12.014.080) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, კრწანისის #72-ში მდებარე 1275 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.18.06.015.057) გადაცემა. მოქალაქე აღნიშნავს, რომ საკ/კოდით: 01.11.12.014.080 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარეობს სპორტული მოედანი და მას ეზღუდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენება. მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი: 01.11.12.014.080) ვრცელდებოდა ს/ზ-6, ხოლო ახალი გენ.გეგმის მიხედვით მიწის ნაკვეთის დიდ ნაწილზე გავრცელდა რზ-2, ხოლო მცირე ნაწილზე სზ-6. საპრივატიზებო საფასური განსაზღვრულია მიწის ნაკვეთების ფასთა შორის სხვაობა 111 000 ლარი.

მომხრე- 8 . გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ერწოს ქ. N15-ის მიმდებარედ არსებული 2,500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.12.08.010.053) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ზოია ძაბირაძემ (პ/ნ: 01023007082) მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილის დასაწყისში, ელ. ქვესადგურისა და იმედაძის ქუჩის დასაწყისის მიმდებარედ არსებული 280 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.08.005.014) ჩანაცვლება ქალაქ თბილისში, ერწოს ქუჩა N15-ის მიმდებარედ განთავსებული მიწის ნაკვეთით (ს/კ: 01.12.08.010.053). განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მოთხოვნილ ტერიტორიაზე დაწყებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების პროცესი და ამ პროცესში, მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის მონაცემების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იქნება მისი ჩართულობაც. მოთხოვნას განმცხადებელი ამყარებს იმ არგუმენტით, რომ მემკვიდრეობით მიღებულ, N01.14.08.005.014 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმებული იყო ავტოსერვისის, ავტოსამრეცხაოს და კაფე-პავილიონის მშენებლობის პროექტი, თუმცა ქალაქგეგმარებითი ცვლილებების შედეგად, მიწის ნაკვეთზე გავრცელდა სარეკრეაციო ზონა, რაც მშენებლობის განხორციელებისთვის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1998 წელს დამტკიცებული, მოქალაქე ვ. არსენიძისათვის მინიავტოსერვისის და ავტოსამრეცხაოს მოსაწყობად დამაგრებული 275 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის გეგმა და სამშენებლო პასპორტი არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებასთან ერთად.
მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა იძლევა დაინტერესებული პირის მიერ ფუნქციური ზონის შეცვლის საკითხის ინიცირების შესაძლებლობას, შესაძლებელია განხილულ იქნეს ზემოხსენებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის თხოვნის დაკმაყოფილება და ზოია ძაბირიძისათვის N01.12.08.010.053 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გადაცემის სანაცვლოდ, N01.14.08.005.014 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღება, ვინაიდან მისი ადგილმდებარეობისა და ფუნქციური ზონის გათვალისწინებით, შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს ტერიტორიის გამწვანებულ, კეთილმოწყობილ სივრცედ განვითარების საკითხი.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნევა ზოია ძაბირიძის მოთხოვნის დაკმაყოფილება: მისთვის N01.12.08.010.053 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა, N01.14.08.005.014 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ. ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 487000 ლარი.
მომხრე- 8 . გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8613 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.004.058) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვისა და შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ"

„სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის - ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირებისათვის, განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2019 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 15 ივლისის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ (ს.კ. N01.10.07.004.058) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8613 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მშენებლობა და მათი ნაწილის კოოპერატივების წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ . ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულს წარმოადგენს ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე ერთადერთი კომპანია - შპს „პერსპექტივა" (ს/კ: 405304950) , რომელმაც ინტერესთა გამოხატვაში წარმოადგინა კოოპერატივის წევრებისათვის ჯამურად გადასაცემი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) შეთავაზება 6800 კვ.მ-ის ოდენობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულებებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" 2017 წლის 15 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, ე.წ. მხატვრების დასახლების მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6738 კვ. მ (ნაკვეთი 02/028) (საკადასტრო კოდი: N01.14.02.002.028) და 6276 კვ.მ (ნაკვეთი 02/027) (N01.14.02.002.027) მიწის ნაკვეთები პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცათ ამავე ტერიტორიაზე გათვალისწინებული კოოპერატიული ბინათმშენებლობის ყოფილ წევრებს.

მიუხედავად ამისა, „მხატვრების დასახლების მიმდებარედ დაკმაყოფილებული კოოპერატივების წევრებმა" 2017 წლიდან დღემდე გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე ვერ მოახდინეს ვერც საკუთრების უფლების რეგისტრაცია და ვერც ფაქტობრივად დაუფლნენ მათ, ვინაიდან ამ მიწის ნაკვეთების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ დავა მიმდინარეობს სასამართლოში. აღსანიშნავია, რომ თბილისის მუნიციპალიტეტი არ ეთანხმება სასამართლოს გადაწყვეტილებას და იგი გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში. აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, დააკმაყოფილოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დანართ N1-ში მითითებული „მხატვრების დასახლების მიმდებარედ დაკმაყოფილებული კოოპერატივების წევრები" სხვა უძრავი ქონების გადაცემის გზით, სასამართლოში დავის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში კი, მუნიციპალიტეტი იმოქმედებს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის არსებული ფაქტობრივი მოცემულობის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ „მხატვრების დასახლების მიმდებარედ დაკმაყოფილებული კოოპერატივების წევრების" ნაწილმა ნოტარიულად დამოწმებული სანოტარო აქტების საფუძველზე, უარი განაცხადა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულებებისა და მათ საფუძველზე დადებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" 2017 წლის 15 მარტის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებაზე, ალტერნატიული უძრავი ქონების გადაცემის პირობით. კერძოდ, ისინი თანახმანი არიან მითითებული განკარგულებებით გადაცემულ ფართებზე უარის თქმის სანაცვლოდ, დაკმაყოფილდნენ ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ (ს.კ. N01.10.07.004.058) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 8613 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან შესაბამისი წილის) მიღებით. წარმოდგენილი განკარგულების პროექტით გათვალისწინებული უძრავი ქონების გადაცემის პირობით მოთხოვნის უფლებაზე უარი განაცხადეს მხოლოდ ამ განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულმა „მხატვრების დასახლების მიმდებარედ დაკმაყოფილებული კოოპერატივების წევრებმა".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული „მხატვრების დასახლების მიმდებარედ დაკმაყოფილებული კოოპერატივების წევრების" (54 წევრის) მიმართ ამ

განკარგულების გამოცემა წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" 2017 წლის 15 მარტის ხელშეკრულების მათ ნაწილში ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველს, მისი გამოცემის დღიდან.

გარდა განკარგულების პროექტის დანართ N1-ში მითითებული „მხატვრების დასახლების მიმდებარედ დაკმაყოფილებული კოოპერატივების წევრებისა", განკარგულების პროექტი ითვალისწინებს დანართი N1-ით განსაზღვრული სხვა 31 პირის დაკმაყოფილებასაც, რომლებიც ასევე წარმოადგენენ „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებულ პირებს/მათ უფლებამონაცვლეებს.

მომხრე- 8 . გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 078 კვ.მ. უძრავი ქონების (მდებარე - ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/რაიონში, I კვარტალში, კორპუსი N8-ის მიმდებარედ, ნაკვ. 007/268 , საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.268) ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი N601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601"-ისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის N382 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი N601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601"-სა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" 2016 წლის 2 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე თანხმობის გაცემის შესახებ

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 078 კვ.მ. უძრავი ქონების (მდებარე - ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/რაიონში, I კვარტალში, კორპუსი N8-ის მიმდებარედ, ნაკვ. 007/268 , საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.268) ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი N601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601"-ისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 21 სექტემბრის N37.14.807 განკარგულებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 078 კვ.მ. უძრავი ქონების (მდებარე - ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/რაიონში, I კვარტალში, კორპუსი N8-ის მიმდებარედ, ნაკვ. 007/268 , საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.268) ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი N601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601"-ისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის N382 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოსა და ქალაქ თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატოს" შორის , 2016 წლის 2 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" . აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, სააგენტომ ამხანაგობას საკუთრებაში გადასცა 16 078 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდგომი დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობა, მდებარე ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/რაიონში, I კვარტალიში კორპუსი 8-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.14.01.007.268), ამხანაგობის მიერ შესაბამისი ამხანაგობის წევრთა მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე

და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ამხანაგობის წევრთა საკუთრების უფლება, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დარეგისტრირდა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

ზემოაღნიშნული განკარგულებები და უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტები დაინტერესებულ მხარეთა მიერ გასაჩივრდა სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 04 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით , ბათილად იქნა ცნობილი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 27 დეკემბრის №882016875259-06 გადაწყვეტილება, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 21 სექტემბრის N37.14.807 განკარგულება და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის №382 განკარგულება და მათ საფუძველზე დადებული ხელშეკრულება - 1646 კვ.მ ნაწილში. ასევე, 1646 კვ.მ-ის ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №108 განკარგულება სადავო მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, უძრავი ქონების საჯარო რეესტრის რეგისტრირებულ მონაცემებში განხორციელდა ცვლილება და უძრავი ქონება გაიმიჯნა ორ მიწის ნაკვეთად: ს/კ: 01.14.01.007.268, ფართობი - 14419.00 კვ.მ და ს/კ: 01.14.01.007.372, ფართობი: 13 კვ.მ. შესაბამისად, ხელშეკრულების აღსრულების უზრუველყოფის მიზნით, საჭირო გახდა შეთანხმებაში ცვლილების შეტანა. კერძოდ, ცვლილება შეეხება მხარეებს შორის 2016 წლის 2 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების 1.1 პუნქტს და ამხანაგობისათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთი ფართობი, ნაცვლად 16 078 კვ.მ-ისა, განისაზღვრება საჯარო რეესტრში ამ განკარგულების გამოცემის დროისათვის არსებული მონაცემების შესაბამისად – 14 419.00 კვ.მ-ითა (ს/კ: 01.14.01.007.268) და 13 კვ.მ-ით (ს/კ: 01.14.01.007.372), რაც საერთო ჯამში შეადგენს – 14 432 კვ.მ-ს.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ამხანაგობას ფაქტობრივად მოაკლდა მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ფართი, მხარეთა მოლაპარაკებების ფარგლებში მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, ხელშეკრულებიდან ამოღებულ იქნება 3.1.2 პუნქტი, რომლითაც ამხანაგობას ეკისრებოდა ვალდებულება, რომ გადაცემულ ქონებაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დასრულებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადმოსცემდა 800 კვ.მ-ის საცხოვრებელ ფართს თეთრი კარკასის მდგომარეობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის N382 განკარგულებაში.

მომხრე- 8 . გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **ოთარ გრიგოლია**